ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3179155

ნომერი: AR1489795

თარიღი : 27.03.2017

გაცემის თარიღი : 31.03.2017

გაცნობის თარიღი : 13.04.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ფეიქრები , ნაკვეთი 07/031 / ქალაქი თბილისი , ფეიქრების ქუჩის დასაწყისში , (ნაკვეთი 7/3) / ქალაქი თბილისი , ფეიქრების ქუჩის დასაწყისში , (ნაკვეთი N7/4) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თეიმურაზ ხარშილაძე პ/ნ 01024031166
- თბილისი ზემო ვეძისის ქ. N 49/3

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის 20 ოქტომბრის №თ–1/47 ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზექ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 27 მარტის #AR1489795 განცხადებით მომართა მოქალაქე თეიმურაზ ხარშილაძემ და მოითხოვა 2006 წლის 20 ოქტომბრის №თ–1/47 ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილება საპროექტო ობიექტის ფუნქციის დამატების და ახალი საკადასტრო კოდის დაფიქსირების გამო.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის 20 ოქტომბრის №თ–1/47 ქალაქთმშენებლობითი პირობები მომზადებულია N1/11/19/7/3 საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (ფართობი 450 მ2)

საკვების ობიექტის აშენების მიზნით, განაშენიანების საშუალო ინტენსივობის საზოგადოებრივი–საქმიანი (შერეული) ზონის პარამეტრებით და პირობებით.

ამჟამად განმცხადებელი ითხოვს ობიექტის დასახელებად საპრეზენტაციო-საგანმანათლებლო აგრარული ცენტრი და ცალკე მდგომი სავაჭრო-საგამოფენო პავილიონის დაფიქსირებას.

გარდა ამისა, მომიჯნავე მიწის ნაკვეთების გაერთიანების შედეგად წარმოიქმნა N01.11.19.007.044 (განცხადების რეგისტრაციის #N 882017217257; მომზადების თარიღი: 27/03/2017) საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი (ფართობი:818 კვ.მ.).

ვინაიდან ხსენებული აქტი მომზადებულია საზოგადოებრივი–საქმიანი (შერეული) ზონის პირობებით, სადაც მოთხოვნილი ობიექტის განთავსება შესაძლებელია სამსახურს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიაჩნია 2006 წლის 20 ოქტომბრის №თ–1/47 ქალაქთმშენებლობით პირობებში შევიდეს ხსენებული ცვლილებები.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს №8-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად,

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის 20 ოქტომბრის №თ–1/47 ქალაქთმშენებლობით პირობებში და ობიექტის დასახელებად დაფიქსირდეს: საპრეზენტაციო-საგანმანათლებლო აგრარული ცენტრი და ცალკე მდგომი სავაჭრო-საგამოფენო პავილიონი; საკადასტრო კოდად დაფიქსირდეს N01.11.19.007.044; მიწის ნაკვეთის ფართობად დაფიქსირდეს 818 კვ.მ.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის 20 ოქტომბრის №თ–1/47 ქალაქთმშენებლობით პირობებთან ერთად.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.